შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47(10.006)

18-25დეკემბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცდა

გაზრდილი ბიუჯეტი და ოპოზიციის ვერდიქტი

საკრებულოს წევრებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ხმათა უმრავლესობით 17 დეკემბერს დაამტკიცეს.

სხდომას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა და მას კოლეგიალური ორგანოს წარმომადგენლები, ასევე მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 8235,9 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ხარჯვითი ნაწილი 9510,0 ათასი ლარით.

საკრებულოს სხდომაზე აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს მთავარი ფინანსური დოკუმენტი დეფიციტურია, თუმცა, როგორც მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა განმარტა, წლის განმავლობაში, ეტაპობრივად მოხდება ბიუჯეტის შევსება გრანტებისა და მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის შეფასებით, 2022 წლის ბიუჯეტი დედოფლისწყაროელების ინტერესებზეა მორგებული. „2022 წლის ბიუჯეტი გაცილებით მოცულობითია მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით. დღგ-ს ნაწილში ზრდა ნახევარი მილიონია, გაზრდილია ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსება, ბიუჯეტის მოცემულ ნაწილში ასახული არ არის რეგიონალური განვითარების ფონდის თანხები, რომლითაც ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. ასევე, უახლოეს მომავალში დაიწყება ხორნაბუჯის ციხის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ღირებულებაც 2 მილიონ ლარზე მეტია. ასე რომ, როდესაც ჩვენ მომავალ წელს ამ დროს შევიკრიბებით, ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა 16- 17 მილიონი ლარი იქნება“-ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა თავისი გამოსვლა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა. მისი ოპტიმიზმი არ გაიზიარა ოპოზიციამ. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა თქვა, რომ კარგია, როდესაც ბიუჯეტი 17 მილიონამდე იზრდება, მაგრამ საინტერესოა, რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება ეს თანხები და რამდენად შეესაბამება ის დედოფლისწყაროელთა ინტერესებს.

მან „ქართულ ოცნებას“ მიცემული პირობა- მაჩხაანი-არბოშიკის გზის რეაბილიტაციის პროექტი შეახსენა და მისი ბიუჯეტში გაუთვალისწინებლობის გამო ხელისუფლება ტყუილში დაადანაშაულა. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მის ბრალდებას უსაფუძვლო უწოდა და განმარტა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით ამ გზის რეაბილიტაცია შეუძლებელია. „ჩვენ დაპირებას შევასრულებთ, მაგრამ ამ პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განახორციელებს“-აღნიშნა მან.

ლევან ბაღაშვილის განცხადებით, ბიუჯეტის თანხები საჯარო მოხელეების კეთილდღეობას ხმარდება და არა მოქალაქეებისას. „უმჯობესი იქნებოდა, გაბერილი ადმინისტრაციული რესურსის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოციალური პაკეტის დაფინანსება. როგორც ვხედავთ, 2022 წელს სოციალური პაკეტი მხოლოდ უმნიშვნელოდაა გაზრდილი, სულ რაღაც 10 000 ლარით. ვერ გავიგეთ, დედოფლისწყაროში სოციალურად დაუცველი მოსახლეობა აღარ არსებობს?- რიტორიკული კითხვა დასვა მან და ერთგვარი ულტიმატუმიც წაუყენა ხელისუფლებას-*„ამიტომ, არის მუხლები ბიუჯეტში, რომელსაც ვერ გავიზიარებთ და კენჭს ვერ ვუყრით. თუ მუხლობრივად მოხდება კენჭისყრა, მაშინ მივიღებთ მასში მონაწილეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ბიუჯეტს მხარს არ დავუჭერთ*“- განაცხადა მან.

ოპოზიციის ულტიმატუმი არ გაიზიარა უმრავლესობამ. რის შემდეგაც ოპოზიციის მიერ ბიუჯეტის შეფასება და ვერდიქტი ასეთი იყო:- ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი არასრულყოფილია, ის არაა მორგებული დედოფლისწყაროელების ინტერესებზე და ამიტომ დაუბრუნდეს ბიუჯეტის პროექტი უკან მერიას!

დებატების შემდეგ, ოპოზიციის შენიშვნების მიუხედავად, უმრავლესობამ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს კენჭი უყარა და ის ერთხმად მიიღო. ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებებია: ინფრასტრუქტურის განვითარება, დასუფთავება და გარემოს დაცვა, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროს ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო

17 დეკემბერს, დედოფლისწყაროს ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან ერთად დაესწრო.

მუნიციპალიტეტის მთავარი ნაძვის ხე კულტურის ცენტრის ეზოში დაიდგა, სადაც 30 დეკემბერს მერიის მიერ ორგანიზებული საახალწლო ღონისძიებებიც გაიმართება.

ყურადღება!

ძვირფასო მკითხველო, 2022 წლისთვის იწყება გაზეთ „შირაქის“ გამოწერა. გაზეთის ღირებულება ერთი წლით 20 ლარია (ნახევარი წლით, 6 თვე-10 ლარი). ჩვენ ფასის მომატებისგან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიკავებდით თავს. პანდემიამ ყველაფერს თავისი კვალი დაამჩნია, მათ შორის ჩვენც აღმოვჩნდით. საგრძნობლად გაძვირდა სასტამბო მომსახურება და გაზეთის ბეჭდვა. ამიტომ, გაზეთის რედაქცია იძულებული გახდა ასეთი ნაბიჯი გადაედგა. იმედი გვაქვს, ფასის მცირედი ზრდა გავლენას არ მოახდენს და თქვენ კვლავ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთადერთი მედია საშუალების ერთგული მკითხველი დარჩებით. გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ - შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

პატივისცემით,

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი - „ქართული ოცნება“ ის ხელისუფლებაა, რომლის პირობებში საქართველო ისე ახლოსაა ევროპასთან და ამერიკასთან, როგორც არასდროს

პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქართული ოცნება“ არის ის ხელისუფლება, რომლის პირობებში საქართველო ისე ახლოს არის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, როგორც არასდროს. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის საქმიანობის 2021 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მისი თქმით, სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ამოქმედდა ევროპასთან უვიზო რეჟიმი და თავისუფალი ვაჭრობა.

„ქართული ოცნება“ არის ის ხელისუფლება, რომლის პირობებში საქართველო ისე ახლოს არის ევროპასთან, ამერიკასთან, როგორც არასდროს. დიდი პატივი იყო ჩემთვის და ბედნიერი ვარ, რომ სწორედ მე მხვდა პატივი ხელი მომეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე. სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ამოქმედდა ევროპასთან უვიზო რეჟიმი და თავისუფალი ვაჭრობა, რასაც წინ უძღოდა ჩემი პირველი პრემიერობის დროს ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით ნაკისრი ყველა ვალდებულების წარმატებით შესრულება.

ჩვენ ვართ ის ძალა, რომელმაც რუსეთთან გაუაზრებელი და ავანტიურისტული პოლიტიკის წარმოებაზე უარი თქვა და ჩვენს შორის არსებული მთავარი პრობლემის - ოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობის საკითხისა და დეოკუპაციის მოგვარების ერთადერთ გზად მშვიდობიანი და პრაგმატული პოლიტიკა გამოაცხადა, რომელიც საერთაშორისო დიალოგის ფორმატების გავლით ხორციელდება“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გაგრძელდება გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის დახმარების და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა

პრემიერ-მინისტრის თქმით, გაგრძელდება ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ხარისხიან განათლებაზე, ისევე როგორც სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის და პანდემიიდან გამომდინარე საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობაც.

„შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით მიმდინარეობს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პროცესი, რომელიც 2022 წელს დასრულდება და მორგებული იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე და ინტერესებზე; წარმოდგენილი იქნება ახლებური ხედვები და შესაძლებლობები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის.

გაგრძელდება ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ხარისხიან განათლებაზე, ისევე როგორც სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის და პანდემიიდან გამომდინარე საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობაც. მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის გამყოფი ხაზის ორივე მხარეს სავაჭრო და ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა “მშვიდობის ფონდის” ფარგლებში. გავაგრძელებთ გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის დახმარების და საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობას. მეგობრებო, ეს იმ პროექტების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მთავრობის მიერ დასახული გეგმის მიხედვით 2022 წელს განხორციელდება“,- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მომდევნო წლები უნდა იყოს მშვიდობიანი, სტაბილური განვითარების და აღმშენებლობის წლები.„დღეს, როდესაც ჩვენი საქმიანობის შედეგებს ვაჯამებთ და შემდგომ განვითარებაზე ვმსჯელობთ, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც თავდაუზოგავად შრომობს ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის. მადლობა თითოეულ საჯარო მოხელეს, თითოეული სამინისტროს ყველა თანამშრომელს, მადლობა ყველა მინისტრს განეული საქმისათვის, ხელისუფლების ყველა რგოლის წარმომადგენლებს, მადლობა პარლამენტს, პარლამენტის თითოეულ წევრს და ჩვენი ძლიერი გუნდის თითოეულ წევრს. მადლობას ვუხდი ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, ჩვენს ნამდვილ მეგობრებს დახმარებისთვის, მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის. მადლობა საზოგადოების თითოეულ წევრს, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს წარმატებაში. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩვენს საამაყო პოლიციელებს, ჩვენს გმირ ჯარისკაცებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თითოეულ თანამშრომელს და მის ხელმძღვანელს, მადლობა ჩვენს გმირ ექიმებს, მადლობა ჩვენს ეკლესიას, საპატრიარქოს, მადლობა ჩვენს ხალხს!

მჯერა, ჩვენი საზოგადოება მთავრობის ინიციატივებს მხარს დაუჭერს და ერთიანი ძალისხმევით შეგძლებთ, საქართველო განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, უნდა ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას და ხალხს მთელი გულით, თავდადებით, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ჩვენი მოსახლეობისთვის და ქვეყნისთვის. უნდა შევქმნათ სამუშაო ადგილები, დავძლიოთ სიღარიბე, მშვიდობა და კეთილდღეობა უნდა მოვუტანოთ ჩვენს ხალხს, განვითარება და პროგრესი უნდა შევიტანოთ ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში, ყველა მუნიციპალიტეტში. მომდევნო წლები უნდა იყოს მშვიდობიანი, სტაბილური განვითარების და აღმშენებლობის წლები! ყველას დიდი მადლობა, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიმშვიდეს და წარმატებულ ახალ 2022 წელს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!“- განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პაკეტი გაიზარდა

2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალური პაკეტი 10 000 ლარით არის გაზრდილი. სოციალური პაკეტის ზრდა “სათნოების სახლის “ბენეფიციართა კვების ხარჯებს აანაზღაურებს. სოციალური პაკეტს დაემატა მუხლი, რომლითაც ისარგებლებენ ცელიაკიით დაავადებული ბავშვები. მათ ადგილობრივი ბიუჯეტი ყოველთვიურად 150 ლარით დაეხმარება. ცნობისთვის, ცელიაკია საკმაოდ იშვიათი დაავადებაა. ის არის სისტემური აუტოიმუნური დაავადება, რომელსაც იწვევს ხორბლის, ქერის ან მსგავსი მარცვლეულის საკვებში შემავალი გლუტეინის პეპტიდები. ამიტომ ასეთ პაციენტებს შესაბამისი კვების რაციონი ესაჭიროებათ. დედოფლისწყაროში ამ დიაგნოზის მქონე 18 წლამდე ასაკის ორი პირია გამოვლენილი, ერთი მათგანი ზემო მაჩხაანის, ხოლო მეორე-ფიროსმანის მკვიდრია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ჩინეთში Georgian Wine Roadshow გაიმართა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ორ ქალაქში, შანხაისა და ჩენგდუში ქართული ღვინის წარდგენა სახელწოდებით Georgian Wine Roadshow გაიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ანალოგიურ ღონისძიებას, 20 დეკემბერს, კიდევ ერთი ქალაქი - შენჭენი უმასპინძლებს. აღნიშნული ღონისძიებებით, ქართული ღვინის დეგუსტაციები ჩინეთის სამ ყველაზე მნიშვნელოვან პროვინციას მოიცავს.

„ქართული ღვინის წარდგენას ღვინის მაგისტრი ჟულიენ ბულარი (Julien Boulard MW) უძღვებოდა. ჟულიენ ბულარი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის Meiburg Wine Media მიერ „ქართული ღვინის საგანმანათლებლო პროგრამის“ ფარგლებში შერჩეულ იმ ხუთ ღვინის პროფესიონალს შორისაა, რომლებიც ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ჩინეთში სემინარებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებს უძღვებიან.

გამართული ღონისძიებების ფარგლებში, ჟულიენ ბულარმა სტუმრებს საქართველოს ისტორია, ქართული ღვინის კულტურა, ქართული ვაზის ძირითადი ჯიშები, მევენახეობის რეგიონები და ღვინის დაყენების მნიშვნელოვანი ასპექტები გააცნო; მან ასევე საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო პარტნიორიობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ქართული ღვინის დეგუსტაციებზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სტილის ღვინო მომხმარებლის სხვადასხვა სეგმენტის მოსაზიდად. თითოეულ წარდგენას პოტენციური მყიდველები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები და სომელიეები დაესწრნენ.

ჩინეთი რჩება ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრად, სადაც, ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, 2021 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის Meiburg Wine Media ორგანიზებით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება გაიმართა.

მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბრის მონაცემებით, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებულია 5,5 მილიონამდე ბოთლი ღვინო, რაც 26%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე“,- აღნიშნულია ინფორმაციაში.

პარლამენტმა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა

პარლამენტმა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა. ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პარლამენტს 15 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა წარუდგინა, კენჭისყრაზე დღეს დადგა. ფინანსური დოკუმენტი 78 ხმით, ერთის წინააღმდეგ მიიღეს.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა 19 171.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 332.0 მლნ ლარით არის გაზრდილი. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი გაზრდილია 336,2 მლნ ლარით და 19 362,6 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრება. რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2022 წელს 6.0%-ს შეადგენს, ხოლო 2022-2025 წლებში საშუალოდ 5,5%-ს. მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 2022 წელს პროგნოზირებულია 4,5%-ის ფარგლებში, ხოლო შემდგომ წლებში 3%-ის ფარგლებში. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 15 558.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც ბიუჯეტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 147.0 მლნ ლარის ოდენობით. მშპ-სთან მიმართებაში 2022 წელს საგადასახადო შემოსავლები 24.0%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნებულია 23.8%-ის ფარგლებში.

2022 წელს მიმდინარე ხარჯების მოცულობა ჯამში დაგეგმილია 14.8 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 22.8%-ს შეადგენს. მომდევნო წლებში მიმდინარე ხარჯებს კლებადი ტენდენცია აქვს და 2025 წელს მშპ-ს 22.0%-ის ფარგლებში ჩამოდის.

2022 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განსაზღვრულია მთლიანი შიდა პროდუქტის 51.1%-ით.

რაც შეეხება სახელმწიფო უწყებების დაფინანსების მოცულობას:

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები გაზრდილია 10.0 მლნ ლარით. მთლიანი დაფინანსება 6 027.3 მლნ ლარს შეადგენს. გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებში არსებული სასწრაფოს ბრიგადების ხელფასების თბილისში არსებულ ხელფასებთან გათანაბრება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 25.0 მლნ ლარით. მთლიანი დაფინანსება 1 684.8 მლნ ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 1.0 მლნ ლარით. უწყების მთლიანი დაფინანსება კი, 357.8 მლნ ლარს შეადგენს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 155.0 მლნ ლარით. მთლიანი დაფინანსება 932.4 მლნ ლარია.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები 5.0 მლნ ლარით იზრდება. სამინისტროს მთლიანი დაფინანსება 2 895.0 მლნ ლარს შეადგენს.

იუსტიციის სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 15.0 მლნ ლარით, (მთლიანი დაფინანსება შეადგენს 310.6 მლნ ლარს) მიწის რეგისტრაციის განსახორციელებლად დამატებით საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები გაზრდილია 40.0 მლნ ლარით. უწყების მთლიანი დაფინანსება 1 002.4 მლნ ლარს შეადგენს.

უზენაესი სასამართლოს ასიგნება 400.0 ათასი ლარით გაიზარდა (მთლიანი დაფინანსება შეადგენს 14.4 მლნ ლარს), შრომის ანაზღაურების სრულყოფილად დასაფინანსებლად.

პროკურატურის ასიგნება გაზრდილია 2,6 მლნ ლარით (მთლიანი დაფინანსება შეადგენს 47.9 მლნ ლარს), შრომის ანაზღაურების და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ასიგნება გაზრდილია 1.9 მლნ ლარით (მთლიანი დაფინანსება შეადგენს 67.2 მლნ ლარს).

მთავრობის ადმინისტრაციის ასიგნება გაიზარდა 2.0 მლნ ლარით (მთლიანი დაფინანსება შეადგენს 19.2 მლნ ლარს) მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად;

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ასიგნება გაზრდილია 3.0 მლნ ლარით (მთლიანი დაფინანსება შეადგენს 10 მლნ ლარს), დამატებით საჭირო მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად, ასევე შრომის ანაზღაურების 10%-იანი ზრდის დასაფინანსებლად.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დაფინანსება გაზრდილია 500.0 ათასი ლარით (მთლიანი დაფინანსება შეადგენს 9.5 მლნ ლარს) სხვადასხვა სოციალური პროექტების დასაფინანსებლად.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების ასიგნება ჯამურად გაზრდილია 620.0 ათასი ლარით, შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით.

დარგობრივმა კომიტეტმა აზარტული თამაშების შეზღუდვის კანონპროექტს მხარი დაუჭირა

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა აზარტული და მომგებიანი ონლაინ თამაშების სფეროში რეგულაციებს მხარი დაუჭირა. კანონ-პროექტს კომიტეტის სხდომაზე მოწინააღმდეგე დეპუტატი არ ჰყოლია.

ცვლილებების თანახმად, 25 წლამდე ასაკის პირებს აზარტულ და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობა აეკრძალებათ, ეს აკრძალვა არ შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ასევე, შეიქმნება დამოკიდებულ და აკრძალულ პირთა სიები მოთამაშის ან მისი ოჯახის წევრის მოთხოვნის საფუძველზე. ამავე კანონპროექტით, აზარტული თამაშების რეკლამა ტელევიზიით იკრძალება, ხოლო ბიზნესს გადასახადები ეზრდება.

კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილის თქმით, კანონის მიღება შეზღუდავს ონლაინტოტალიზატორების და ონლაინკაზინოების ოპერირებას და შემცირდება აზარტულ და მომგებიან თამაშობებში მოთამაშეთა ჩართულობის და სოციალური ფონის გაუარესების რისკები.

კომიტეტის სხდომაზე საკითხის განხილვიაში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ონლაინ სათამაშო ბიზნესის ასოციაციის, ტელემაუწყებლების, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელები.

ტელევიზიების წარმომადგენლები რეგულაციების გამკაცრებას არ ეწინააღმდეგებიან, თუმცა, ვადებთან და სიმკაცრესთან დაკავშირებით აქვთ მოსაზრებები. ისინი კანონის ამოქმედების გადადებას ითხოვენ, თუნდაც რამდენიმე თვით.

რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის პოზიციას, ონლაინ-კაზინოების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ კანონის მიღებით პრობლემა არ მოგვარდება და თანხა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტში შედიოდა, ქვეყნიდან გაედინება.

დავით სონღულაშვილის თქმით, საკითხზე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია და მსჯელობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.. ცვლილებები შედის კანონებში: „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონში“, „რეკლამის შესახებ“ კანონში, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონში.

კომიტეტმა საკანონმდებლო პაკეტს მხარი დაუჭირა და მას პარლამენტი დღეევანდელ პლენარულ სხდომაზე განიხილავს.

სათამაშო ბიზნესი სპორტის სპონსორობის გაუქმებას აანონსებს

სათამაშო ბიზნესი ქართული სპორტის სპონსორობის გაუქმებას აანონსებს, ამის შესახებ „სათამაშო ბიზნესის ასოციაციის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

ასოციაციის განმარტებით, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემთხვევაში, სექტორს სპორტის სპონსორობაზე უარის თქმა მოუწევს.

“აზარტული თამაშების კომპანიების სასპონსორო აქტივობები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა და ქართულ სპორტში ჩაიდო რამდენიმე ათეული მილიონი ლარი, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი ჩემპიონატებისა თუ სპორტსმენების განვითარებას. აღნიშნული სასპონსორო კამპანიების უმთავრესი დანიშნულება, პირველ რიგში, ოპერატორების მიერ აღებული სოციალური პასუხისმგებლობაა და, ასევე, ემსახურება კომპანიების იმიჯის ამაღლებას. ამ მიმართულებით გამოყოფილი უზარმაზარი ფულადი სახსრები ფინანსდებოდა ბიზნესის სტანდარტული საქმიანობით, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ მოქმედ საკანონმდებლო პირობებში - სხვა მარკეტინგული ან ფინანსური გამართლება აღნიშნულ სასპონსორო კამპანიებს არასოდეს ჰქონია.

გვსურს დაგარწმუნოთ, რომ მოსალოდნელი რეგულაციები უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქცევს სათამაშო ბიზნესის სექტორში დასაქმებულ კომპანიებს, რაც ავტომატურად გამოიწვევს ხარჯების ოპტიმიზაციის საჭიროებას და შეუძლებელს გახდის ქართული სპორტის განვითარებაში ინვესტიციების ჩადებას. კანონ-პროექტით დაშვებული სასპონსორო სარეკლამო საქმიანობა არ წარმოადგენს კომპანიებისათვის მარკეტინგულად თუ ფინანსურად გამართლებულ დანახარჯს, აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, დაანონსებული საკანონმდებლო შეზღუდვების დამტკიცების პირობებში სათამაშო ბიზნესის სექტორს მოუწევს უარი თქვას სპორტის სპონსორობაზე“,- აღნიშნულია „სათამაშო ბიზნესის ასოციაციის” მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„აზარტული თამაშების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში დაჩქარებული წესით მიმდინარეობს. საკანონმდებლო ორგანო ცვლილებების დამტკიცებას, რომლის თანახმადაც, აიკრძალება ყველანაირი სატელევიზიო, გარე რეკლამა და ქართულ ვებგვერდებზე რეკლამის განთავსება, მიმდინარე კვირაში აპირებს. სათამაშო ბიზნესის ოპერატორებისთვის დასაშვები იქნება მხოლოდ სპონსორობის ხელშეკრულების გაფორმება და ძირითადად შეიძლება სპორტს შეეხოს აღნიშნული დაშვება. ამასთან, სათამაშო სექტორის გადასახადების დასაბეგრი ბაზა 65%-70%-ით იზრდება და 25 წლამდე მოქალაქეებს ეკრძალებათ აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება.

გენდერული დისბალანსი კახეთის საკრებულოებში

კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში ახალი მოწვევის საკრებულოებმა საქმიანობა უკვე დაიწყეს. გასული წლების მსგავსად, უწყებებში გენდერული დისბალანსია. საკრებულოს 264 წევრიდან 60 ქალი, ხოლო 204 მამაკაცია. ინფორმაციას კახეთის ხმა ავრცელებს.

8 მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეებიდან ყველა კაცია, მათ მოადგილეებად კი ქალბატონები მხოლოდ გურჯაანის, საგარეჯოს და ყვარლის მუნიციპალიტეტში არიან არჩეულები. დანარჩენ 5 მუნიციპალიტეტში, საკრებულოს თავმჯდომარეების მსგავსად, მათი მოადგილეებიც მამაკაცები არიან.

ახალი მოწვევის საკრებულოს წევრი ქალბატონები ძირითადად ფრაქციების ან კომისიების თავმჯდომარეები არიან.

თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ 39 წევრია, აქედან, 8 ქალია, 31 მამაკაცი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში განმარტავენ, რომ აქედან 3 ქალს უკავია პოლიტიკური თანამდებობა. თინათინ ხანჯალიაშვილი საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ხელმძღვანელობს, თამარ ხატიაშვილი ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილეა. ეთერ გურგენაშვილს კი ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა უკავია.

თელავის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილი გახდა. 39 დეპუტატიდან მის კანდიდატურას 22-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ოპოზიციამ კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

თელავის საკრებულოს თავმჯდომარეს სამი მოადგილე ეყოლება.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მამუკა ბურდიაშვილი აირჩიეს, მოადგილეების თანამდებობები კი მიხეილ დაღუნდარიძემ და ალექსანდრე შათირიშვილმა დაიკავეს.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, ახალი მოწვევის საკრებულოში 22 მანდატი „ქართულ ოცნებას“, 16 —„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ერთი კი გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ აქვს.

გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე, მესამე ვადით, ვანო ბერიძიშვილი გახდა. ბერიძიშვილის არჩევას 39-დან 27-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა კი კენჭისყრაში არ მიიღეს მონაწილეობა.

ვანო ბერიძიშვილს სამი მოადგილე ეყოლება. აღნიშნულ პოზიციას დაიკავებენ ნანა რამაზაშვილი, ლევან ხაზიური და გუჯა ქათამაძე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 39 წევრიდან, 9 ქალი და 30 მამაკაცია. ოპოზიას 11 მანდატი აქვს, საიდანაც 4 ქალია. მმართველ პარტიას კი 28 მანდატი აქვს, აქედან, 5 ქალია. როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოში აცხადებენ, სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ ლელა თევდორაშვილი დაინიშნა, უმრავლესობის წევრი ნანა რამაზაშვილი კი საკრებულოს თავჯდომარის მოადგილეა.



დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა ნუგზარ პაპიაშვილმა დაიკავა. საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გოჩა სამუკაშვილი, ხოლო მოადგილეებად გივი გიგაური და დავით ალუღიშვილი აირჩიეს.

საკრებულოში მოქმედ 5 კომისიას კი მამაკაცები უხელმძღვანელებენ. 2021 წლის მოწვევის საკრებულოში ორი ფრაქცია იქნება წარმოდგენილი. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ნუგზარ ყოჩიაშვილი უხელმძღვანელებს, ერთიან ნაციონალური მოძრაობას კი– ლევან ბაღაშვილი.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოში 30 წევრია. აქედან, 10 მაჟორიტარული წესით, 20 კი პროპორციული სიით არჩეული. 30 წევრიდან ,,ქართულ ოცნებას“ 24 წარმომადგენელი ჰყავს, ნაციონალურ მოძრაობას 5, ხოლო სახალხო პარტიას 1 წარმომადგენელი. საკრებულოში 30-დან 25 კაცი და 5 ქალია, საიდანაც 4 მმართველი პარტიისწარმომადგენელია, 1 კი ნაციონალური მოძრაობის.

ყვარელი

სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოების მსგავსად, მამაკაცები იკავებენ წამყვან პოზიციებს ყვარლის მუნიციპალიტეტშიც. საკრებულოს თავმჯდომარე ყოფილი მერი, ილია მზექალაშვილი გახდა. პირველ მოადგილედ ოთარი ბუჯიაშვილი, ხოლო მოადგილეებად კახა ასისტიშვილი და თამილა ბურკიაშვილი აირჩიეს.

რაც შეეხება კომისიებსა და ფრაქციებს, 5 ფრაქციის თავმჯდომარეებიდან ყველა მამაკაცია. საკრებულოში შექმნილი 2 კომისიიდან კი ერთს ქალი უხელმძღვანელებს.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო 27 დეპუტატით დაკომპლექტდა: 7 მანდატი — ერთიანი ნაციონალური მოძრაობას აქვს, 1 მანდატი — პარტიას გახარია საქართველოსთვის, 19 მანდატი კი ქართულ ოცნებას, საიდანაც 10 პროპორციული, ხოლო 9 მაჟორიტარული წესით არის არჩეული.

27 წევრიდან 21 მამაკაცი და 6 ქალია. წევრი ქალბატონებიდან 4 მმართველი პარტიის წარმომადგენელია, 2 კი– ოპოზიციის წევრი.

ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კვლავ კარლო ჯამბურია გახდა. თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ,,ქართული ოცნების" დეპუტატი ივანე ხაჩიძე დაინიშნა, მოადგილეებად კი გიორგი ღამბაშიძე და სიმონი კვერნაძე იქნენ არჩეულნი.

სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოების მსგავსად, ლაგოდეხშიც საპასუხისმგებლო და მაღალ პოზიციებს, ძირითადად, მამაკაცები იკავებენ. საკრებულოს 30 წევრიდან 23 მამაკაცი და 7 ქალია.

ახმეტა

ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ყოფილი მერი, იოსებ ქარუმაშვილი გახდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებად კი დავით ავაზაშვილი, გიორგი ქიბროწაშვილი და გელა ონიაშვილი აირჩიეს.

ახმეტის მუნიციპალიტეტშიც, კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეებად მამაკაცები არიან არჩეული.

როგორც საკრებულოში აცხადებენ, 30 წევრიდან 23 მამაკაცი და 7 ქალია. ქალები, ძირითადად, ფრაქციის თავმჯდომარეების მოადგილეების თანამდებობებს იკავებენ.

სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში მეხუთე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე, უმრავლესობის წარდგინებით, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე დავით ჯანიკაშვილი აირჩიეს, მოადგილეები კი ივანე მირიანაშვილი, ილია ბაიდოშვილი და გია პავლიაშვილი გახდნენ.

2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო 36 დეპუტატით დაკომპლექტდა. პარტია „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო“ 26 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი, აქედან –12 მაჟორიტარული სისტემით, ხოლო 14 –პროპროციული სიით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკრებულოში— 9 დეპუტატით, ხოლო პარტია ,,საქართველოსთვის“ საკრებულოში 1 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი.

36 წევრიდან 27 მამაკაცი და 9 ქალია, აქედან, 3 ოპოზიციას და 6 მმართველ პარტიას წარმომადგენენ.

საგარეჯო

საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარედ, ასევე მამაკაცი, ალექსი გილაშვილი აირჩიეს. მას სამი მოადგილე ეყოლება, საიდანაც 1 ქალია. თავჯდომარის პირველ მოადგილედ ლელა მარიდაშვილი, ხოლო მოადგილეებად ვეფხია ჩერქეზიშვილი და ალექსი იოსელიანი აირჩიეს.

39 დეპუტატიდან 24 კაცი და 9 ქალია, საიდანაც 3 ნაციონალურ მოძრაობას, 1 ლელო — საქართველოსთვის და 5 მმართველ პარტიას წარმოადგენენ.

ნატალია ცისკარიშვილი

გაიცანით დედოფლისწყაროს

ნუგზარ პაპიაშვილი – საკრებულოს თავმჯდომარე, „ქართული ოცნება“, პედაგოგი.

გოჩა სამუკაშვილი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, „ქართული ოცნება“, ეკონომისტი.

მამუკა სეფიაშვილი – „ქართული ოცნება“, იურისტი.

დავით ალულიშვილი – „ქართული ოცნება“, ინჟინერ-მექანიკოსი.

მაია ცისკარაული – „ქართული ოცნება“.

ნიკოლოზ ხუციშვილი – „ქართული ოცნება“, ზემო ქედის მაჟორიტარი, ინჟინერ-გეოლოგი.

ლელა ჭინჭარაული – „ქართული ოცნება“.

გიორგი გოგილაშვილი – „ქართული ოცნება“, ხორნაბუჯის მაჟორიტარი, ფიზიკოსი.

მიხეილ გახუტაშვილი – „ქართული ოცნება“, პედაგოგი.

არსენ ბაღაშვილი – „ქართული ოცნება“, ეკონომისტი, ოზაანის და არბოშიკის მაჟორიტარი

გივი გიგაური – „ქართული ოცნება“, ისტორიკოსი, გამარჯვების მაჟორიტარი

ვასილ ჩოჭუშიანი – „ქართული ოცნება“.

ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი – პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, პედაგოგი.

სიმონ ყოჩიაშვილი– პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, სამრეკლოს მაჟორიტარი დეპუტატი.

ირინე ფოცხვერაშვილი – პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, პედაგოგი

გია ფუტკარაძე–პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, იურისტი

ნუგზარ ყოჩიაშვილი – იურისტი, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

პავლე თავაძე - პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, ინჟინერი

ლევან ოზბეთელაშვილი– პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი.



ივანე ნატროშვილი– ექიმი, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, ზემო მაჩხაანი-მირზაანის მაჟორიტარი.

სიმონ წიკლაური – პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, ინჟინერი



ავთანდილ ხუმარაშვილი – პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

ავთანდილ შაინიძე– პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

კახა წიკლაური – პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“, მწვრთნელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნევრები:

ლევან ბალაშვილი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ეკონომისტი.

ლევან იაკობიშვილი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, იურისტი.

ნატალია ქადაგიძე – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,

დავით ჯიბღაშვილი–ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ინჟინერი.

შალვა ბატიაშვილი – „სახალხო პარტია“

ლევან მჭედლიშვილი – პოლიტიკური გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობა“, იურისტი.

„ხალხია ნებისმიერი ხელისუფლების დამკვეთიც და შემფასებელიც...“



ნუგზარ პაპიაშვილი

დაიბადა 1958 წლის 1 იანვარს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მიენიჭა ისტორიკოსის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლის კვალიფიკაცია. 1983-1985 წლებში მუშაობდა ქალაქ თბილისის N71-ე პროფესიულ სასწავლებელში ისტორიის მასწავლებლად. 1985-1991 წლებში ნუგზარ პაპიაშვილი თბილისის N2 მუსიკალურ სასწავლებელში აგრძელებს ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის პედაგოგად მუშაობას. 1991 წლიდან 1993 წლამდე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლის დირექტორია, ხოლო 1994-1997 წლებში ამავე სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე. 1997-2000 წლებში ის დედოფლისწყაროს გამგეობის საორგანიზაციო განყოფლებას ხელმძღვანელობს, რის შემდეგაც კვლავ პედაგოგიურ საქმიანობას უბრუნდება და 2000 წელს ქ.თბილისის N89-ე საჯარო სკოლის დირექტორად იწყებს მუშაობას, ხოლო 2007 წელს N193-ე საჯარო სკოლის დირექტორად. 2009 წლიდან 2012 წლამდე ის კვლავ მშობლიურ სოფელს ხელმძღვანელობს. 2013 წლის იანვრიდან ნუგზარ პაპიაშვილი კახეთის სატყეო სამმართველოს, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან 2014 წლის ივლისამდე გარემოს ზედამხედველობის კახეთის სამსახურის უფრისის პოსტებს იკავებს.

2014 წლის 14 ივლისიდან ნუგზარ პაპიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა, 2017 წლის 5 აპრილს კი ის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ჰყავს სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

ნუგზარ პაპიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მესამედ აირჩია. ის პროფესიით ისტორიკოსია. პედაგოგიურ მოღვაწეობას მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა. როგორც თავად ამბობს, უყვარს თავისი პროფესია და ბავშვებთან ურთიერთობა. რა გზა გაიარა მან მასწავლებლობიდან- პოლიტიკაში მოსვლამდე, რა ფაქტორმა განაპირობა მისი პროფესიის არჩევანი და როგორ აფასებს ის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.

-პროფესიის არჩევა დედის ფაქტორმა ადრეული ასაკიდან განაპირობა. დედაჩემი დაწყებითი კლასების პედაგოგი იყო. მომწონდა, მოსწავლეების რვეულებს სახლში რომ მოიტანდა და სიყვარულით და რუდუნებით ასწორებდა, თითოეული მათგანის შეცდომას განიცდიდა, ნერვიულობდა. მაგრამ კარგი ნამუშევრის წაკითხვისას ვხედავდი, როგორ უნათდებოდა სახე, თვალები ენთებოდა და სიხარულით წერდა ფრიადს. მე გვერდით ვეჯექი და ყურადღებით ვაკვირდებოდი ამ პროცესს, დედის თითოეულ რეაქციას... მოგვიანებით, როდესაც უკვე მაღალ კლასში გადავედი და პროფესიის არჩევაზე სერიოზულად დავიწყეთ ფიქრი მე და ჩემმა მეგობრებმა, ჩემი ოცნება კვლავ მასწავლებლობისა და სკოლის დირექტორობის ირგვლივ ტრიალებდა. ბევრ ჩემს თანატოლს ღვინის ტექნოლოგობა ხიბლავდა (მაშინ ერთგვარი მოდაც იყო მეღვინეობა), მე კი ბავშვობის განცდა არ მტოვებდა და პირველი გადაწყვეტილება რეალობად ვაქციე - სკოლის დირექტორობაც მიზიდავდა და ბავშვებთან ურთიერთობაც. ვიცოდი, სკოლის დირექტორი რომ გავმხდარიყავი, აუცილებლად ჯერ პედაგოგი უნდა ვყოფილიყავი. ვთვლი, რომ პროფესიის არჩევანში არ შევმცდარვარ, და ამ მიმართულებით ვმუშაობდი ყოველთვის- უნივერსიტეტის დამთავრებიდან 2009 წლამდე.

მერე ოჯახური პირობების გამო საცხოვრებლად თბილისიდან დედოფლისწყაროში დავბრუნდი. ჩემი მშობლები მოხუცდნენ და მოვლა სჭირდებოდათ. ჩემი სურვილით დავწერე განცხადება თბილისის სკოლის დირექტორობიდან გათავისუფლების თაობაზე და ქვემო ქედის სოფლის რწმუნებულად (გამგებლად) დავიწყე მუშაობა.

ამის შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა. 2012 წელს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის გამო, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებით დაიჭირეს ჩემი ოჯახის წევრი თამაზ თამაზაშვილი. ამ ფაქტის გამო, მე აღარ მქონდა არც მორალური უფლება და არც სურვილი, დავრჩენილიყავი იმ გუნდში, სადაც ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა ხდებოდა. მართალია, ციხის კადრების გასაჯაროვებამდე არავინ იცოდა, რა საშინელება იყო გამეფებული რეალურად ციხის საკნებში, მაგრამ თამაზის დაკავება პოლიტიკური ნიშნით და შეთითხნილი ბრალდებით ჩემთვის სერიოზული სიგნალი იყო. მივიღე გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების თაობაზე, რადგან ზოგადად, როგორც პედაგოგი, ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ.

ეს იყო ჩემი პროტესტი იმ ხელისუფლების ქმედების საპასუხოდ. 2012 წლის აგვისტოდან კი უკვე აქტიურად ვარ ჩართული „ქართული ოცნების“ წინასარჩევნო კამპანიაში, პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი-ქვეყნის მშენებლობაში და დღემდე ამ პოზიციას ვინარჩუნებ. მიმაჩნია, რომ ეს იყო ყველაზე სამართლიანი ცვლილება ხელისუფლების.

-ისტორიკოსის გადასახედიდან როგორ ჩანს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი რეალობა?

-ძალიან რთული კითხვაა იმ თვალსაზრისით, რომ ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე წარმოუდგენელია. მე მომსწრე ვარ ყველა პარტიის და ყველა იმ საზოგადოებრივ- ეკონომიკური ფორმაციის, ასევე იმ ცვლილებების, რომელიც საქართველომ უახლოეს წარსულში გამოიარა, დაწყებული სოციალისტური წყობიდან- საქართველოს დამოუკიდებლობამდე. 9 აპრილის მოვლენების უშუალო მომსწრე და გარკვეულწილად, მონაწილეც ვარ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში ვიდექი ჩემს მოსწავლეებთან ერთად, რომლებიც აქციების ხშირი სტუმრები იყვნენ. მაშინ თბილისის სკოლის პედაგოგი ვიყავი და მე რომ არც მდომებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი გავმხდარიყავი, აქციებზე მოსწავლეების ტალღა მიმიყვანდა, ისეთი მუხტი იყო მაშინ ახალგაზრდობაში- თავისუფლების წყურვილით სავსე.

9 აპრილის შემდეგ იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება, რეფერენდუმი და პირველი თავისუფალი არჩევნები ხალხისთვის სასურველი შედეგით, პირველი პრეზიდენტი. ზვიადის და მერაბ კოსტავას შემდეგ იყო სამხედრო გადატრიალება, პირველი პრეზიდენტის დევნილობაში გაქცევა და მხედრიონის „მმართველობის წლები“. 90-იანი წლები კოშმარივით ახსოვს მთელ მოსახლეობას. მოკლედ, ამ მცირე დროში ბევრ ცვლილებას მოვესწარი. ამ გადასახედიდან როდესაც დღევანდელ სტაბილურ საქართველოს ვუყურებ, როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო, შესაძლოა, ნაბიჯ- ნაბიჯ, მაგრამ წინ არ მიიწევს? ასეთი შეფასებისას მართლები არ ვიქნებით. მიმაჩნია, რომ დღეს, საქართველოში „ქართულ ოცნებაზე“ ჭკვიანი და თანმიმდევრული ძალა საქართველოში არ არსებობს.

ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი და ამას არ ვაცხადებ მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკური თანამდებობა მიკავია. მოვა დრო და აუცილებლად გამოჩნდება სხვა პოლიტიკური ძალა, რომელიც მომავალს გადაიბარებს. მაგრამ დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე არავინაა ისეთი, რომელიც ამ ძალას შეცვლის. ხალხის არჩევანიც მეტყველებს ამაზე. ხალხი ბრძენია და არ დაუშვებს, რომ ქვეყნის ბედი დესტრუქციულ ძალებს ჩაუვარდეს ხელში. რა თქმა უნდა, ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს არსებობის უფლება, ისევე, როგორც განსხვავებულ აზრს, დემოკრატიის არსიც ხომ ესაა, მაგრამ მართავს ის, ვინც უმრავლესობაშია და ვისაც მეტი ამომრჩეველი უჭერს მხარს არჩევნებში.

არჩევნებში გამარჯვება მეტი წარმატების სტიმულსაც გაძლევს და პასუხისმგებლობის განცდასაც გიმძაფრებს. ხალხია ნებისმიერი ხელისუფლების დამკვეთიც და შემფასებელიც.

-თქვენი აუხდენელი ოცნება...

-ოოო, ეგ რთული კითხვაა. ჩემი ბავშვობის ოცნება იყო პედაგოგობა და სკოლის დირექტორობა. ეს ავისრულე, სამჯერ ვიყავი სხვადასხვა სკოლის დირექტორი. ძალიან მიყვარდა ბავშვები და მათთან ურთიერთობა და აგერ, მეშვიდე შვილიშვილს ველოდები...

ამიტომ, ჩავთვალოთ, რომ აუხდენელი ოცნება არ მაქვს!

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

საზღვრები პირობითია, შესაძლებლობები რეალური

11 დეკემბერი. თურქეთი. უდიდესი და გამორჩეული ქალაქი სტამბული. საღამო. მსოფლიოს მასშტაბით 150 ქვეყნის წარმომადგენელი პარასპორტსმენი საკუთარ გამოსვლას ელოდა. გამოსვლას, სადაც პარატაეკვანდოს მსოფლიო ჩემპიონატში საკუთარი შესაძლებლობები, ნიჭი და უნარი უნდა გამოევლინათ. მარტივი საქმე არ არის. მაქსიმალურად უნდა მობილიზდე და ეცადო, შენი ემოციები მართო. ემოციები მნიშვნელოვანია, მაგრამ ხშირად გადამწყვეტიც, როდესაც გადიხარ ტატამზე და ფიქრობ ყველაფერზე - მოწინააღმდეგეზე, შენს ნაბიჯებზე, აჩქარებულ პულსზე, მის დარეგულირებაზე, მწვრთნელის რჩევებზე. წამით რომ წარმოიდგინოთ საკუთარი თავი, ალბათ, ამ ყველაფერზე პარალელურად ფიქრიც კი გაგიჭირდებათ.

მომლოდინეთა შორის, ჩვენი გაზეთისთვის კარგად ნაცნობი რესპონდენტი გიორგი ხიზანიშვილიც იყო, რომელმაც ჯერ არ იცოდა, რომ კვარცხლბეკზე მესამე, საპრიზო ადგილს დაიკავებდა და ქვეყნისთვის უკვე მეორედ, ბრინჯაოს მედალს მოიპოვებდა. როცა ამ დღის გახსენებას ვთხოვ, ის იმ ემოციებზე და პასუხისმგებლობებზე მესაუბრება, რაც მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლას ახლავს თან: **„პასუხისმგებლობა მსოფლიო ჩემპიონატზე უდიდესია. რა თქმა უნდა, ნებისმიერი შეჯიბრი დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს საკუთარი ქვეყნის სხვა დონეზე წარდგენაა და, მღელვარებაც მეტი ახლავს თან.“** ამ დღისთვის ცდილობდა მაქსიმალურად ენერგიულად და დატვირთვით ევარჯიშა, მაგრამ ბაკურიანში, წინასაშეჯიბროდ გუნდთან ერთად მოსამზადებელ წვრთნაზე წასვლის წინ, კორონავირუსი „აღმართზე წამოეწია“ და წვრთნების გავლა ვერ შეძლო. ეს მოცემულობა მისთვის უკან დახევას უდრიდა, მაგრამ კორონავირუსის დამარცხების შემდეგ იმ ენერგიის მობილიზება მაინც შეძლო, რაც მანამდეც ეხმარებოდა ყოველდღიურობაში, არსებობაში, ცხოვრებაში. ეს ის ენერგიაა, მან 2 სამსახურს და ვარჯიშს რომ უნდა გაუნაწილოს. ენერგია, რომლითაც კვირაში 4 დღე 2 საათი, და ხშირად მეტიც, ივარჯიშოს, რასაც იმაზე მეტი ძალა მიაქვს, ვიდრე თქვენ წარმოიდგენთ. ამ ყველაფრის ფონზე ფიქრობს და სურს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში უფრო მეტად დაიტვირთოს და მეტი დრო დაუთმოს ვარჯიშს.

კითხვას ვუსვამ ემოციებზე, შინაგან ძალასა და ნებისყოფაზე, რომელიც ადამიანს წარმატების მისაღწევად სჭირდება. გარკვეულწილად, ევროპის ჩემპიონატმა ამ ემოციების მართვა ასწავლა, თუმცა, როგორც მაშინ, ეს ფაქტორი ახლაც მოქმედებდა: **„ემოციური თვალსაზრისით, ევროპის ჩემპიონატს რომ შევადარო, შედარებით მშვიდად ვგრძნობდი თავს, არ ვღელავდი, თუმცა, შეჯიბრზე გასვლის წინა ღამეს საკმაოდ დავიძაბე, ემოციური ფონიც მომატებული მქონდა. იმასაც გაგიმხელთ, რომ ამ ემოციების კონტროლი მაინც მიჭირს, გახშირებული გულისცემის გამო ჰაერიც არ მყოფნის ხოლმე. ჯერ მხოლოდ ორ შეჯიბრზე ვარ ნამყოფი, ამიტომ მგონია, რომ ესეც დაძლევადია, რასაც გამოცდილება ნამდვილად მოიტანს. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ადამიანს, წარმატების მისაღწევად უმთავრესად, დიდი მოთმინება სჭირდება. როდესაც რაღაც არ გამოდის, სკეპტიციზმი იმატებს, გიჩნდება სურვილი, რომ ყველაფერს თავი დაანებო, შეეშვა. მტკიცე სული და გარშემომყოფთა დიდი მხარდაჭერა კი ამის ფონზე დიდი მოტივატორია. ჩვენი სურვილები და განწყობა ერთია, თუმცა მეორეა ის, რომ ამ ყველაფერს ფრთები შეასხა და რეალობად აქციო, რაც სწორედ კონკრეტულ შედეგებს მოგვცემს. თუმცა, შედეგის შემდეგ უფრო თავდაჯერებული ხდები და პიროვნული ზრდის სურვილიც გიჩნდება.“**

გიორგი მაქსიმალისტი და პერფექციონისტია. ყველაფერში მაქსიმალურ ენერგიას დებს, შედეგს კი შესაბამისს იღებს. ვირუსის გადატანა, ვარჯიშებიდან გამოთიშვა, ენერგიის მოკლე დროში მობილიზება - ეს ყველაფერი მიღწეული შედეგის წინაპირობებია. უმოკლეს დროში მიღწეული გამარჯვებით კმაყოფილია, მაგრამ უფრო დიდი „ნახტომისთვის“ ემზადება: **„თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოკლე დროში ასეთი წინსვლა მაქვს, განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ მსოფლიო ჩემპიონატით. ჩემს თავში დავინახე კიდევ უფრო დიდი ზრდა-განვითარება ევროპასთან შედარებით. ამიტომ, თავს გარკვეული კმაყოფილების უფლებას ვაძლევ. თუმცა ჩემთვის ეს მოდუნების მიზეზი არ უნდა გახდეს“.** სპორტი გიორგის განუყოფელ ნაწილად იქცა. იყო მცდელობები, იყო წარუმატებლობებიც, იყო დანებების სურვილიც, მაგრამ ახლა, როდესაც ვუსმენ და მის მთავარ სურვილს მეუბნება, ვხვდები, რომ სიტყვა „დანებებამ“ უკვე დიდი ხანია შინაარსი დაკარგა და მისი ლექსიკონიდან ის ნელ-ნელა ქრება: **„კონკრეტული შედეგით კმაყოფილება ბოლო წერტილი არ უნდა იყოს, სადაც მისვლის სურვილი გაგიჩნდება, აუცილებლად უნდა მივიდე იმ შედეგამდე, რომ საქართველოს სიმბოლიკა წინა პლანზე იყოს წამოწეული - საქართველოს ჰიმნი გაჟღერდეს და ხუთჯვრიანი დროშა პირველ ადგილზე ფრიალებდეს. ეს ჩემი, როგორც სპორტსმენის უპირველესი სურვილია.“**

მაქსიმალიზმი და პერფექციონიზმი, ვიტყოდი რეალობის სრული აღქმაც, გიორგის ხელს არ უშლის ჰქონდეს სურვილები, ოცნებები, საკუთარი პიროვნების სხვა სფეროში წარმოდგენის უნარი. უნარი, წარმოიდგინოს თავი იმ სამყაროში, რომელში მოხვედრაზეც ბავშვობიდან ოცნებობდა.ჰქონდეს სურვილები, რომლებიც გვინდოდა, მაგრამ ვერ განვახორციელეთ. ვეკითხები: ვინ იქნებოდი, რომ არა ის, ვინც ხარ დღეს და რატომ? პასუხს მოულოდნელს, მაგრამ ლოგიკურს ვიღებ: **„მგონია, ისევ ის ვიქნებოდი, ვინც დღეს ვარ. თუმცა, ჩემი ბავშვობის ოცნება ნაციონალური ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავეობა იყო. დღესაც ისევე მიდუღს სისხლი ძარღვებში, როგორც ბავშვობაში. პიანისტობაც ჩემი დიდი ოცნება იყო. პირველი იმიტომ, რომ ქართული ცეკვა ქართული სულისა და გენის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, მისი ყურების დროს სრულად შევიგრძნობ ეროვნულობას, ეროვნულ ძალას, ეს კი ძალიან ბედნიერს მხდის. მუსიკა კი ისაა, რაც სხვა სამყაროში მამოგზაურებს. ჩემ შემთხვევაში ვერცერთი გამოვიდა, მაგრამ ამას საკუთარი თავის რწმენაში ხელი ნამდვილად არ შეუშლია.“**

ვუსმენ, ვკითხულობ, ვაანალიზებ პასუხებს და ვხვდები, რომ მისი შინაგანი ძალა, ნებისყოფა, განწყობა, სამყაროსთან სრულყოფილი თანაცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. დღეს, ჩვენ მომავალ თაობასთან ერთად, შშმ პირების მიმართ ჰუმანურობას, ლოიალურობასა და სწორ თანაცხოვრობას ვეჩვევით, ვსწავლობთ. ამაში კი გარემო და ინფორმაცია გვეხმარება: **„ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ დავიბადეთ, როცა ბნელოდა, არ იყო ინფორმაციის ასეთი მძლავრი ნაკადი. დღეს ხომ ამ თაობას ვერ წარმოუდგენია რას ნიშნავს სანთლის შუქზე წიგნის კითხვა, სწავლა და ა.შ. ჩვენს და მომავალ თაობას მეტი კონცენტრირება სჭირდება, რომ არ დაიბნენ, რა სურთ ცხოვრებაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ არ უნდა ეძიონ და წინ არ წავიდნენ. პირიქით, გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რასაც მათ განვითარებული სამყარო აძლევთ: ისწავლონ, ისწავლონ და კიდევ ისწავლონ. განათლება უმთავრესია. როგორც დიმიტრი ყიფიანი იტყოდა „განათლებული ახალგაზრდობა ესაა ქვეყნის რესურსი“. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაც ხომ გაუნათლებლობაა.“**

ამასწინათ ერთი ფრაზა ამოვიკითხე: „ბედნიერება მიმღებლობაა“, საკუთარი თავის, ცვლილებების, ადამიანების. გიორგისაც ვკითხე რა იყო მისი წარმატებისა თუ ბედნიერების ფორმულა, კრედო, რომელსაც ცხოვრებაში იყენებს: **„ასე ვერ ვიტყოდი, რომ ეს ფორმულაა, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შემიძლია, რომ ერთადერთი რაც წარმატებაში, ადამიანად ყოფნასა თუ არსებობაში მეხმარება ეს სიყვარულია! ამ გრძნობით თუ იცხოვრებს ადამიანი, წარმატება, ბედნიერება, კმაყოფილება, განვითარება და მომავლის რწმენა/იმედიც აუცილებლად ექნება. ეს კი დღეს სამწუხაროდ გაიშვიათებულია.** გიყვარდეს ნიშნავს ცხოვროგდე!“.

გიორგის პასუხებმა კიდევ ერთხელ მიმახვედრა, რომ ადამიანებს, რომლებმაც მიიღეს შშმ პირების სტატუსი, იმაზე მეტი შინაგანი ძალა და მოტივაცია აქვთ, ვიდრე წარმოგვიდგენია. გიორგის წარმატებებმა ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე უამრავ ადამიანს აჩვენა, რომ მთავარი მონდომება, ენერგიის სწორი გადანაწილება, „მიძინებული“ უნარების „გამოღვიძება“ და რწმენაა, რომელიც შეუძლებელს შეგაძლებინებს.

მჯერა, რომ ეს მისი, როგორც სპორტსმენის გზის დასაწყისია, ის უმაღლეს კვარცხლბეკზეც მალე დადგება და დაამტკიცებს, რომ ადამიანის შესაძლებლობების საზღვრები პირობითია, მისი დარღვევა კი სრულიად შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, გიორგის ამ „საზღვრების“ კვლავ გადაკვეთასა და ისეთ გარემოს ვუსურვებ, სადაც საკუთარ რესურსს მაქსიმალურად გამოიყენებს, დაამსხვრევს ისევ ადამიანების მიერ შექმნილ სტერეოტიპებს და დაამტკიცებს, რომ ცხოვრებაში გამოწვევებთან ბრძოლა და გამარჯვება შესაძლებელია.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

უპრეცედენტო შედეგი საქართველოს ჩემპიონატზე

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი სადაც ჩვენმა გუნდმა 9 (ცხრა) პირველი ადგილი აიღო, ეს უპრეცედენტო შედეგია. პირველ ადგილზე გავიდნენ:

***ნიკა წიკლაური**
***ლევანი ბაიროიანი**
***ვაკო მოსაშვილი**
***ლუკა კვანჭილაშვილი**
***გიორგი წიკლაური**
***გივი გოჩიტაშვილი**
***თაზო ღვინიაშვილი**
***საბა ბუთხუზი**
***ლევან წიკლაური**

მეორე ადგილები დაიკავეს:

***კოტე ყოჩიაშვილი**
***ნიკოლოზ ხარაზიშვილი**

მესამე ადგილზე გავიდა:

***ნიკა ჯალიაშვილი**

„ეს ბიჭები გმირები არიან, ლევან წიკლაური, რომელიც ჩვენს გუნდშია აღზრდილი, ამჟამად თბილისის კლუბ “ვარიორსში” განაგრძობს ვარჯიშს, მადლობა მათ ლევანის გვერდში დგომისთვის. მადლობა ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტს დახმარებისთვის და გვერდში დგომისთვის.“ - აღნიშნა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გუნდის მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა.

ინფორმაციისთვის, დედოფლისწყაროს გუნდმა, საქართველოს ჩემპიონატზე გუნდურ ჩათვლაში, უშუ-სანდაში ყველაზე მეტი პირველი ადგილი მოიპოვა.

ლაშა ტალახაძემ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა

საქართველოს ნაკრების ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ ტაშკენტში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ლაშა ტალახაძემ ატაცში 210, 218, 225 კგ დაძლია, რითიც საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. აქამდე მის მიერ დამყარებული რეკორდი 223 კგ იყო.

აღნიშნული შეჯიბრება მალე აკვრაში გაგრძელდება. შეგახსენებთ, ქართველი ძალოსნების ანგარიშზე შოთა მიშველაძის (61 კგ) ვერცხლისა და რევაზ დავითიძის (89 კგ) ბრინჯაოს მედალია.

„სულ მახსოვს, რომ ვალში ვარ ჩემი საზოგადოების წინაშე“

„ვაჟკაცის სახელს რა მოკლავს,
თუ წესმა ისევ იწესა!“

თემურ ჩალაბაშვილი

ძვირფასო მკითხველო, დღეს ერთი ღირსეული ოჯახის შესახებ მინდა მოგითხროთ, ოჯახისა, სადაც ურთიერთერთგულება,უფროს-უმცროსობა, პატივისცემა და სიყვარული მეფობს და ყველაფერი ეს კი ოჯახის დედაბოძის, დედაქალის, დიდიდედის დამსახურებაა და მის გარშემო ტრიალებს. ძველგაზრდებმა იციან, ახალგაზრდებმა კი, ამ ოჯახის მაგალითზე უნდა გაიგონ, თუ რა ძალა აქვს სიყვარულს, თმენას, მორალს, მოვალეობის გრძნობას.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: რაჟდენ ნანობაშვილს, რომელიც წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე იყო და მის მეუღლეს, ქალთა საზოგადოების აქტიურ წევრს ანა ეგიტაშვილს პირმშვენიერი, ლამაზი, დედისერთა გოგონა ნათელა ჰყავდათ, რომელიც სამაგალითო სწავლითა და ყოფაქცევით გამოირჩეოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ნათელა ნანობაშვილმა თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენა-ლიტერატურის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა და სწორედ იმ დროს გადაიკვეთა მისი და თბილისელი ბიჭის, დუგლას თავაძის გზები. ისეთი მშვენიერები იყვნენ, ისეთი შეფერებულები, მათ ცქერას არაფერი სჯობდა. ნათელა, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. სიყვარულით გულანთებულმა დუგლასმაც, დედაქალაქი დატოვა, განაწილებით წითელწყაროს მოაშურა და რაიონის მთავარი მიწათმომწყობის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. ოჯახის შექმნამაც არ დაახანა. ბედნიერება და სიყვარული ყვაოდა მათ კერაზე. ოჯახი იზრდებოდა. ჯერ თემური დაიბადა, მერე პავლე (პალიკო), ნანა, და ბოლოს, ოფიციალურად მამის მოსახელე დუგლასი, რომელსაც მთელი რაიონი სიყვარულით დაჩის ეძახის. მაგრამ, სამწუხაროდ, მის დაბადებას მამა ვეღარ მოესწრო, რადგან სენმა, რომელსაც ოჯახი თავგამოდებით ებრძოდა, სასიკეთო შედეგი ვერ გამოიღო, ოჯახს საყრდენი ბოძი გამოეცალა. მწუხარებამ დაისადგურა მანამდე სიხარულით და სიყვარულით სავსე კერაზე.

ადვილი არ იყო ამ დიდი ტკივილის გაძლება და ოთხი არასრულწლოვანის გაზრდა ფიზიკურად, ეკონომიკურად თუ სოციალურად. სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ მოვინვიეთ თავაძეების უფროსი ვაჟი **თემურ თავაძე**. მიზეზიც გვქონდა. ბატონი თემური წელს 60 წლის გახდა–ის ამწლის იუბილარია.

– 8 წლის ვიყავი. დილაადრიან ლოყაზე სისველე ვიგრძენი და ამან გამომაღვიძა. დავინახე, რომ ჩემი კარის მეზობელი, სოლომონ შანშაშვილი, შუახნის კაცი, რომელიც რაიკომის მეორე მდივანი იყო და მისი ტირილი არავის ენახა, გულამოსკვნილი დამქვითინებდა ... მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა. მამაჩემი გარდაიცვალა. ის, რაც მაშინ და მას მერეც, თითქმის დღემდე, გრძელდება, კარგი ყმისა და ვაჟკაცის სახელია, რომლითაც ამაყები ვართ. დღესაც, ოთხმოცდაათ წელს მიღწეულ მის თაობას გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის მერეც, ახსოვს ლაღი, მშვენიერი, ადამიანის მოსიყვარულე და ალალი კაცი, რომელმაც ამ რაიონში ცხოვრების სულ რაღაც 9-10 წელში ასეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამ დამსახურების ჩრდილქვეშ გავიზარდეთ და ვცხოვრობთ დღესაც. დედაჩემი, ნათელა ნანობაშვილი რუსული ენის მასწავლებლად მუშაობდა წითელწყაროს №1 საშუალო სკოლაში, მრავალი თაობა გაზარდა, გზა დაულოცა, სითბო და სიყვარული გაატანა ცხოვრების გზაზე საგზლად. ამიტომ, სულ დაკავებული იყო. ჩვენს გაზრდაში მას სიცოცხლის ბოლო წუთამდე მხარში ედგა ბებიაჩემი ანა და დიდი ამაგი დაგვდო ჩვენ ყველას. დედამ კი ძლიერი დედაშვილური სიყვარულით დაგვიმორჩილა და აღგვზარდა, პატივისცემა და ხათრი გაგვიჩინა, რომელიც დღემდე მოგვდევს ოთხივეს და ერთმანეთს ვეცილებით მის მოვლა-პატრონობასა, პატივისცემასა და სიყვარულში. მისი ხათრით არ ვჩხუბობდით, მისი ხათრით კარგად ვსწავლობდით, მისი ხათრით თავი ღირსეულად გვეჭირა საზოგადოებაში. სულ გვარიგებდა: თქვენ ხართ ამ ოჯახის შვილები და არ შეარცხვინოთ მამის ხსოვნა და ჩემი არსებობაო. ოჯახის იქეთ, ხალხშიც სულ გვესმოდა, რომ ჩვენი მშობლები სანიმუშო წყვილი იყო - ნათელა ამაყობდა დუგლასით და დუგლასი ამაყობდა ნათელათიო, ჰოდა, ამ სიამაყით გვინდოდა გვეცხოვრა ჩვენც. იოლ გზაზე არ უვლია დედაჩემს და დღეს საზოგადოება აფასებს მას, რადგან ეს ძნელი გზა პატიოსნად გაიარა. მორალურად გამართული ადამიანის წინაშე თანამდებობრივი იერარქია ქედს იხრიდა. რაიონის საზოგადოების კაცობა და ვაჟკაცობა ჩემმა ოჯახმა საკუთარ თავზე გადაიტანა და გამოსცადა. ქიზიყური ერთგულებით, პირდაპირობით, მორალით გვერდში გვედგა მამაჩემის და დედაჩემის სამეგობრო, სამეზობლო, სანათესაო. არასოდეს იკეტებოდა ჩვენი სახლის კარი, რადგან არავისი და არაფრის გვეშინოდა. თუ ვინმეს რაიმე სიბრძნე ჰქონდა, გვიზიარებდნენ და გვზრდიდნენ თავისი შვილების გვერდით. ამიტომაა, რომ ჩვენი სამეგობროც ჩვენი ოჯახის მეგობრების შვილებში გრძელდება. დედოფლისწყაროს საზოგადოების ადათმა, წესმა და ტრადიციამ აღგვზარდა ჩვენ და მიმაჩნია, რომ ვალში ვარ ამ საზოგადოების წინაშე. მე ვერ შევძლებ იმ დიდი ამაგის

გადახდას იმ ადამიანებისათვის, ვინც პატივი დასდო მამაჩემის ხსოვნას, ვინც დააფასა დედაჩემის ნამდვილქალობა, მაგრამ ერთი კი კარგად ვიცი, რომ ანალოგიურ სიტუაციაში მეც და ჩემი და-ძმებიც ისევე მოვიქცევით და ვიქცევით კიდეც, როგორც ჩვენ საზოგადოება მოგვექცა, მადლიერები ვართ და ვცდილობთ, კარგი ადამიანები ვიყოთ, კარგი შვილები და შვილიშვილები გავზარდოთ. ყველას ვერა, მაგრამ რამოდენიმე მათგანს მაინც გავიხსენებ: მამის გარდაცვალების დღიდან გვერდიდან არ მოგვცილებიან მისი მეგობრები, მათ უზრუნველყვეს ყოველგვარი გვერდშიდგომა ოჯახისადმი, რაც ამ ამბავს ახლავს თან. მაშინ ჩვენ, იმავე ეზოში, სადაც ახლა ვცხოვრობთ, პატარა ბინა გვქონდა-ორი ოთახი და სამზარეულო. დაწყებული იყო და დასრულებული ახალი სახლის მხოლოდ პირველი სართული. მილიციის იმდროინდელი უფროსი ილო ნანობაშვილი, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები იური, ზურაბ და გურამ ხოსროშვილები, ავთო გომელაური, თენგიზ შალვაშვილი, ვახტანგ ქიზიყურაშვილი და ბევრი სხვა, ბოდიში, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ისე მონაწილეობდნენ ჩვენი სახლის მშენებლობაში, როგორც საკუთარის. და განა შეიძლება, ამის დავიწყება?! იმ გარდამავალ წლებში, როდესაც ქვეყანამ თავისუფლება მოიპოვა და ცხოვრება გართულდა, ჩვენც, როგორც ყველას, ძალიან გაგვიჭირდა. რაიონის საზოგადოებას ახსოვს ბიზმესმენი გივი პოპიაშვილი, იგივე „ჩორნა“, რომელიც საზღვარგარეთ მოღვაწეობდა და რამდენიმე წლის შემდეგ, მშობლიურ რაიონში რომ ჩამოვიდა, მატერიალურად ბევრ ვინმეს დაეხმარა - ახლობლებს, მეზობლებს, მეგობრებს, თანაკლასელებს და თავის პედაგოგებს. ერთ საღამოს ჩვენს სახლში დედამისი მოვიდა, საკმაოდ სოლიდური თანხა მოიტანა, ერთი ტრაქტორის საბუთებიც მოაყოლა და დედაჩემს უთხრა: ჩემს შვილს არ დავიწყებია, შენმა დედაშვილურმა დამოკიდებულებამ როგორ გაუთბო გული მას და მეც ბევრჯერ დამაყენა სწორ გზაზე მისი აღზრდისასო. სწორედ მადლიერების ნიშნად, ჩემმა შვილმა ეს ძღვენი გულწრფელი სიყვარულით მოგართვაო. იმ გაჭირვებისას ეს ჩვენთვის არამხოლოდ მეორე სუნთქვის გახსნა იყო, არამედ დიდი სიამაყის მიზეზიც. ერთი სიტყვით, დედოფლისწყაროს საზოგადოებამ ჩვენ მადლის ძალა დაგვანახა და მადლიერებაც გვასწავლა,- გულწრფელად ამბობს ჩვენთან საუბარში ბატონი თემური და ჩვენ მისი გუწრფელობის გვჯერა.

მოდით, ახლა კი ორიოდე სიტყვა თვით ბატონ თემურზე ვთქვათ, როგორც იუბილარზე: - წარჩინებით დაამთავრა წითელწყაროს №1 საშუალო სკოლა და მამის პროფესიას გაჰყვა, ჩაბარა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტზე მიწათმოწყობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაბრუნდა რაიონში და მუშაობა სოფლის მეურნეობის სამმართველოში მიწათმოწყობის განყოფილებაში დაიწყო. გამორჩეული მადლიერებით იხსენებს რაიონის მაშინდელ მთავარ მიწათმომწყობს ჯემალ ჯანყარაშვილს, რომელმაც პრაქტიკულ საქმიანობაში შეასწავლა და განუმტკიცა ინსტიტუტში მიღებული ცოდნა. ასწავლა თანამშრომლობა და ურთიერთობები. ის ბატონ ჯემალს ახასიათებს კეთილ, ალალმართალ ადამიანად, რომელმაც ერთხელ კიდევ დაანახა სიკეთის ძალა. მერე წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში დამოუკიდებლად გაგრძელა საქმიანობა მიწათმომწყობის რანგში. განათლებული, პერსპექტიული ახალგაზრდა რაიონის ხელმძღვანელობას არ გამოჰპარვია და კომკავშირის რაიკომში ჯერ სოფლის მეურნეობის განხრით ინსტრუქტორად, მალევე კი საორგანიზაციო განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. მერე ყველასათვის მოულოდნელად ჯემალ ჯანყარაშვილი ტრაგიკულ შემთხვევას ემსვერპლა და ... თემურმა მთავარი მიწათმომწყობის ადგილი ღირსეულად დაიკავა, საქმესაც პროფესიულად უძღვებოდა, მიწის პრივატიზაციის პროცესიც წარმატებით ჩაატარა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის და უკეთესი შემოთავაზების გამო რაიონიდან სამუშაოდ დედაქალაქში გადავიდა.

–ორიოდ სიტყვა თქვენს ოჯახზეც მიხარით, მეთქი, ვთხოვე: - ჩემი მეუღლე, ლია წერეთელი, თბილისელია, სპეციალობით პედაგოგი. როდესაც ის ჩვენს ოჯახში შემოვიდა, ვღელავდი, როგორ შეეწყობოდა ჩემს დიდ ოჯახს. სრულ ერთ თვეში ჩემმა და-ძმებმა მითხრეს, ასე გვგონია, ლია ჩვენი დაა, სადღაც დიდი ხნით იყო წასული და ახლა დაბრუნდაო. ასეა დღესაც და ეს მე ძალიან მაბედნიერებს. გვყავს სამი შვილი - თორნიკე, ლევანი და ეთერი, რომელიც, როგორც მესამე შვილი, პატრიარქის ნათლულია და ნათლობის სახელად წმინდანის სახელი ესთერი ჰქვია. თორნიკე დაოჯახებულია, კარგი რძალია თინათინ ჭიჭინაძე, მყავს ერთი შვილიშვილი, ჩემი სიცოცხლე, პატარა დაჩი თავაძე. ეს მხოლოდ დასაწყისია ჩემი გენეალოგიის გასაგრძელებლად. წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. 60 წელი ცოტა არ არის დასაფიქრებლად და გასაანალიზებლად, ჩემი ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების გარჩევა შევძელი, უშეცდომოდ არავის უცხოვრია. ალბათ, არც მე. სამომავლო გეგმები მრავლად მაქვს, პრინციპი და ცხოვრების წესი კი, იგივე.

– რას საქმიანობ დღეს?

ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიის განვითარების მიზნით ამირან კოდიაშვილსა, ვაჟა ჩერქეზიშვილსა და ჩემს ძმებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „არნივის ხეობა“, ვანხორციელებთ სხვადასხვა პროექტს, რისთვისაც ვთანამშრომლობთ დონორ ორგანიზაციებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან. არნივის ხეობაში გავაშენეთ 3.5 ჰექტარი რქაწითელის და ხიხვის ჯიშის ვენახი, მოეწყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურა ბუნებაზე დაკვირვების მიზნით, აქ გვხვდება მრავალფეროვანი ენდემური ფლორა და ფაუნა. არის ფრინველთა საინტერესო ჯიშები, რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი და იშვიათობას წარმოადგენს. მაგალითად, შავი ყარღატი, მოლოდინი გვაქვს, რომ ფოტოხაფანგი ზოლებიან აფთარსაც დააფიქსირებს. ასევე მცენარეულ საფარს შორის გამოირჩევა კახეთის მაჩიტა, ტუია, ველური ორქიდეის რამდენიმე სახეობა, საკმლის ხე, ღვია, კოწახურის ხე და სხვა. მადლიერი ვარ უფლის, რომ მომეცა საშუალება გავუფრთხილდე და პოპულარიზაცია გავუწიო ჩემი კუთხის ბუნებას, სადაც ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა იცხოვროს.

- უფალი ახსენეთ და მინდა გკითხოთ, მორწმუნე ხართ და გჯერათ თუ არა ბედისწერის?

ბედისწერა საინტერესო ფენომენია, ცხოვრება გვარწმუნებს მის არსებობაში, მისი შეცვლა ნაკლებად, კორექტირება კი, ვფიქრობ, შესაძლებელია. უნდა შეეცადო, შენი ჯვარი ღირსეულად ატარო. რაც შეეხება რწმენას, ნამდვილად მორწმუნე ქრისტიანი ვარ, მაგრამ არასაკმარისად ეკლესიური. ქრისტიანობა ძნელია და საპატიო, ის გოლგოთაა და ჯვარცმაა, მაგრამ აუცილებელი აღდგომა და გაბრწყინება. „ეძიებდე ქრისტესთვის სიკვდილსაო“ - გვიანდერძა გორგასალმა, „მამული, ენა, სარწმუნოებაო“ - დაგვმოძღვრა ილიამ. ეს ქრისტიანული მცნებებია და მოგვიწოდებს, რომ ჩვენი წინაპრების სისხლით და ოფლით მორწყული მიწის ფასი ვიცოდეთ, ვისაუბროთ ერთ ენაზე იდეებიდან გამომდინარე და ვიფიქროთ იმაზე, რაც გვჭირს და რაც გვჭირდება, უფლისაგან დაკისრებული როლი პირნათლად შევასრულოთ.

- ძველი წელი მიილია, კარს მოგვადგა ახალი წელი, რას ისურვებდი?

დღეს უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს, ჯანმრთელობა გვჭირდება, ამ კოვიდპანდემიის პირობებში უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას და ამით დავიცვათ სხვების ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ამის ერთადერთი გზა რეგულაციების დაცვა და ვაქცინაციაა. ამ გზაზე წარმატებებს ვუსურვებ ჩემს ხალხს, პანდემიისგან თავის დაღწევას. ხვავსა და ბარაქას ვუსურვებ, სტუმრის დახვედრის რომ არ შეეშინდება. ქვეყნის დამშვიდებას, დაწყნარებას, გამთლიანების გზაზე რეალური ნაბიჯების გადადგმას, ურთიერთგაგებას და სიყვარულის დეფიციტის დაძლევას, რწმენაში განმტკიცებას, გამრავლებას და სიკეთეს. ვუღოცავ სრულიად საქართველოს, ჩემს თანამემამულეებს, ჩემს რაიონს, ბედნიერების წელი დამდგარიყოს.

***

ძვირფასო მკითხველო, მინდა გითხრათ, რომ თემურ თავაძე საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების გამგეობის წევრია და ერთი სიამოვნებაა მისი ხილვა თეთრ ჩოხაში. ამასთან, იგი თავაძეების საგვარეულოს თავმჯდომარეა და თავისი გვარის დიდი ქომაგი და გუშემატკივარი. კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ ბ-ნ თემურს და მის დიდ ოჯახს, რომელიც, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ერთ-ერთი მისაბაძია თავისი ცხოვრების წესით, ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით. ქ-ნი ნათელა დღეს ბედნიერია - ოთხივე შვილი განათლებული, შემდგარი, ჩამოყალიბებულია, ქვეყნისა და საკუთარი თავისთვის საიმედოდ დგანან ფეხზე, თბილი, ტკბილი და სიყვარულით სავსე ოჯახები აქვთ, მათგან 10 შვილიშვილს, ერთ შვილთაშვილს ითვლის და მომავალი კიდევ წინაა...მივულოცოთ დამდეგი ახალი წელი, დიდხანს სიცოცხლე, სიხარული და ბედნიერება ვუსურვოთ თითოეულ მათგანს.

პ.ს **მინდა გითხრათ, რომ ქალბატონი ნათელა ნანობაშვილი, თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე გამარჯვების საშუალო სკოლაში ჩემი მასწალებელიც გახლდათ და მან თავი დაგვამახსოვრა როგორც საგნის კარგი ცოდნით, ასევე თავისი კეთილშობილებით, ადამიანობითა და სილამაზით, რომლის სიარულის გამორჩეული მანერა ჩვენთვის მისაბაძიც კი გახდა.**

ნაირა გორაშვილი.

„მზეს შევეხეთ“



ისტორიაში პირველად NASA-ს ზონდი Parker Solar-ი მზის გვირგვინში შევიდა. NASA-ს თანახმად, მზის შემადგენელ მატერიასთან უშუალო შეხება დაეხმარება მეცნიერებს მოიპოვონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მზის და სისტემაზე მისი გავლენის შესახებ.

„მზეს შევეხეთ. ისტორიაში პირველად კოსმოსური ხომალდი მზის გვირგვინში შევიდა - მზის ატმოსფეროს იმ წერტილში, სადაც მისი მაგნიტური და გრავიტაციული მიზიდულობა იმდენად ძლიერია, რომ მზის გამოსხივების შეჩერება შეუძლიათ. ჩვენი ზონდი Parker Solar-ი რომელიც 2018 წელს გაეშვა მზის გვირგვინში მოკლე პერიოდით პირველად წელს შევიდა.

როგორც მთვარეზე დაშვებამ საშუალება მისცა მეცნიერებს გაეგოთ, როგორ ჩამოყალიბდა თანამგზავრი, მზის შემადგენელ მატერიასთან შეხება დაეხმარება მეცნიერებს მოიპოვონ კრიტიკული ინფორმაცია ჩვენი უახლოესი ვარსკვლავის და მზის სისტემაზე მისი გავლენის შესახებ. მაგალითად Parker Solar-ის ზონდის მოგზაურობა მზის გვირგვინში უკვე ეხმარება ასტროფიზიკოსებს, გაიგონ მზის ქარში აღმოჩენილი უჩვეულო ზიგზაგების წარმომავლობა. Parker-მა უკვე ათჯერ ჩაუფრინა მზეს და გააგრძელებს მის სიახლოვეს მოძრაობას და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში მონაცემების შეგროვებას“ - წერს NASA.

„ზონდ Parker Solar-ის მიერ „მზესთან შეხება“ მონუმენტური მომენტია მზის კვლევისთვის და ჭეშმარიტად ღირშესანიშნავი მიღწევაა. გარდა იმისა რომ ეს მიღწევა უფრო ღრმა ხედვას გვთავაზობს მზის ევოლუციასა და მის გავლენაზე მზის სისტემაში, ყველაფერი რაც ჩვენი მზის შესახებ ვისწავლეთ, უფრო მეც ცოდნას მოგვცემს სამყაროს დანარჩენ ვარსკვლავებზე“ - თქვა NASA-ს სამეცნიერო მისიების დირექტორატის ასოცირებულმა ადმინისტრატორმა თომას ცურბრუხენმა.

დუბაი პირველი ქალაქია,რომელიც ქაღალდს აღარ გამოიყენებს

ხელისუფლებისა და მოსახლეობის ცხოვრების გაციფრულებისთვის, დუბაის მთავრობამ ქაღალდის გამოყენებაზე საბოლოოდ თქვა უარი და ამ მხრივ მსოფლიოში პირველი გახდა. ამის შესახებ მათ 2018 წელს განაცხადეს, გეგმის რეალიზაცია კი საბოლოოდ წელს დასრულდა. მიჩნეულია, რომ ამ ნაბიჯის შედეგად დუბაიმ 336 მილიონი ქაღალდის ფურცელი, 14 მილიონი საათის შრომა და 1.3 მილიარდი დირამი (350 მილიონი დოლარი) დაზოგა, ყველა სამთავრობო პროცესმა კი ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა.

ამ ამბის შესახებ განცხადება შაბათს დუბაის ტახტის მემკვიდრე პრინცმა, შეიხ ჰამდან ბინ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტუმმა, Twitter-ზე გააკეთა და 45 სამთავრობო უწყებაც აღნიშნა, რომლებიც ქაღალდის გამოყენებაზე დუბაის უქაღალდო სტრატეგიის ფარგლებში ამბობენ უარს.

„ეს მიღწევა ამყარებს დუბაის, როგორც პიონერისა და მისაბაძი მაგალითის გლობალურ პოზიციას ინტეგრირებული ციფრული სერვისების განვითარებაში, რაც აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას”, – წერს შეიხ ჰამდანი Twitter-ზე.

ეს ნაბიჯი პატარა მიღწევა არ ყოფილა და იგი ხუთ ეტაპად განხორციელდა. Gulf News-ის მიხედვით, 45 სამთავრობო უწყება მოიცავს დაახლოებით 1 800 ციფრული სერვისს და 10 500-მდე საკვანძო ტრანზაქციას, რომელზეც ქაღალდის გარეშე უნდა გადასულიყვნენ.

სტრატეგიის სრულად განხორციელებით დუბაის ხელისუფლებაში დასაქმებულებისა და მომხმარებლებისთვის ქაღალდის დოკუმენტებისა და ტრანზაქციების საჭიროება აღარ იარსებებს.

დუბაი ახლა აპლიკაციის, სახელწოდებით DubaiNow-ის გამოყენებას გეგმავს, რომელიც მომხმარებლებს ქალაქის 130 „ჭკვიან” სერვისთან დააკავშირებს. ასეთებია: პარკინგის ჯარიმის გადახდა, მანქანის რეგისტრაციის განახლება, ბინადრობისთვის განაცხადის გაკეთება და ა.შ. ამ საქმეების მოგვარებას კი დუბაის მაცხოვრებლები მობილური ტელეფონებიდან შეძლებენ.

პრემია „საბას“ მეცხრამეტე დაჯილდოება 23 დეკემბერს გაიმართება

პრემია „საბას“ მეცხრამეტე დაჯილდოება 23 დეკემბერს გაიმართება. ამის შესახებ ინფორმაციას „თიბისი“ ავრცელებს.მათი ინფორმაციით, ლიტერატურულ კონკურსს მე-10 ნომინაცია დაემატა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დააწესა.

როგორც „თიბისიში“ აღნიშნავენ, გამარჯვებულს ჯილდოს გადასცემენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი, ეკა გიგაური და ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი.

„როგორც ცნობილია, ლიტერატურულ კონკურსში „საბა“ წელს 260 კონკურსანტი მონაწილეობდა, ზაფხულში „საბას“ ჟიურიმ 43 ფინალისტი დაასახელა. გამარჯვებულებს გადაეცემათ „საბას“ პრიზი და სოლიდური ფულადი პრემიები.

საუკეთესო წიგნებსა და ავტორებს ჟიური შემდეგ 9 ნომინაციაში გამოავლენს:

საუკეთესო რომანი
საუკეთესო პოეტური კრებული
საუკეთესო პროზაული კრებული
საუკეთესო პიესა
საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა
საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი
საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა
უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი
ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

ფინალისტი წიგნების სია და მათი ელექტრონული ვერსიები განთავსებულია „საბას“ ვებგვერდზე saba.com.ge.

წლის მთავარი ლიტერატურული მოვლენა - პრემია „საბა“ “თიბისიმ” და რატი ამაღლობელმა 2002 წელს დააფუძნეს. დაარსების დღიდან „საბამ“ ბიძგი მისცა ლიტერატურულ პროცესებს საქართველოში და არაერთი მწერლის ნაწარმოები და ღვაწლი შეაფასა. 2018 წელს „საბა“ გასცდა საქართველოს ფარგლებს, ის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში გერმანიაში ჩატარდა. დაჯილდოების ცერემონიის გამართვამ ფრანკფურტში კონკურსს საერთაშორისო მნიშვნელობა შესძინა“,-აღნიშნულია ინფორმაციაში.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად საახალწლო კალენდარს.

თუ გსურთ თქვენი ბავშვის ფერადი ფოტო განთავსდეს 2022 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინოთ ის 23 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში, ფიროსმანის ქუჩა №18 ან დაგვიკავშირდით ნომრებზე: 591 092 472; 591 092 477;

შეგახსენებთ!

კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება, მაგრამ თუ ერთ ფოტოში ორი ან მეტი ბავშვი იქნება -20 ლარი.

იჩქარეთ,ადგილები შეზღუდულია!!!

ა მ ი ნ დ ი დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	ორშაბათი 20.12	სამშაბათი 21.12	ოთხშაბათი 22.12	ხუთშაბათი 23.12	პარასკევი 24.12	შაბათი 25.12	კვირა 26.12
დღე	11 °	9°	3 °	0 °	1 °	3 °	4 °
ღამე	–1 °	–3 °	–7 °	–8 °	-7 °	-5 °	-5 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.